

პირს, 9 აპრილი 1917 წ.

ნოდარციის ოფიციალური
მუნიციპალიტეტი, თბილისი, № 6.

— ვალი 15 კაბ. —

გ რ ა მ ა რ ა ბ ი ზ

№ 15

1917

შინებას შინება. საინტერი—ეშმაკი. ფალსუფიაცია—
მორიელი. პატარა ფელტინი—თარაში. ძღვნათ ქუჩა
ნალისტებს—ძ. შარალი—უნინარი. მოქალაქენო—ზათ-
რახოსნი. სააღვამო მილოცვები—შექნჯალებული.

შერილი ეშმ კისაოთი—ჩანდუპე. შესტერილი—გან-
ჯის კარელი. ვანც ამ ოშედა—ჩრჩილი.
კარიჭათ უჩიზი. სარეკლამო. პეტროვის ალში. ძვე-
ლი და ძალი. ყარსის წყალებადენი.

ს ა რ პ ე ს თ ა ნ



მაინც საწყენათ ჩამოჩა გულში, რომ ახლა მეტობლოდ ბ-ნი ნ.
რომანოვი-და ვარ.

ს ა მ დ უ მ ლ მ

ასეთი შემთხვევა პირველი როდია,
აი, ეს ყმაწვილი,
(ანთიმოზ ბოდია),
არ იქნა, ჩემს გულში ვერ მოვაკალაოთ,
თუმც ბევრჯერ ჩავხიზნე
ნებსით, თუ ძალათე.
შეხედავ, მშვენებით მაისის გარდია,
(აპოლონს თუ იცნობთ,
იმისი ფარდია).
შავი თმა აყრია, ვით ლომის ფაფარი,
(ქუდიც არ სჭირია
მას თავის საფარი).
ლამაზი თვალები (თუმც უბეწვრილები),
ალმასის მაგვარი
და მწყობრი კბილები
ამშვენებს მის სახეს სწორ-მოხაზულებით,
(იქ უშნოს ვერაფერს
ვერ ნახავ სრულებით).
მაგრამ, როს უყურებ ამ სახის მშვენებას,
მე ვხედავ მარტოდენ
გარეგნულ შენებას.
და ლამაზ ნიღაბ ქვეშ თითქო სხვა ვინშე ზის
შემქმნელი მისდამი
უარყოფით მიზეზის.
მისი ხმა მქუხარე და ცაცხლთა მფრჭვეველი
ყურშივე მრჩებიან
გულს მიუხწეველი
და სიტყბო საუბრის, შარბათთა ნაკალის,
არ ვიცი რატომ, და
სულამდე არ ჩაღის.
მას ჩემსა წინაშე ცოდო არ მიუძღვის,
არცა თუ მსმენია
ავი რამ მასზე სხვის.
შემჩველება და მათრობს ქებით, თუ თავაზით
ნარევენ სიტყვებით
სულ ლამაზ-ლამაზით.
მაგრამ ეს მოპყრობა გულს ეკლათ შეფეხის,
(არ ვიცი, ღმერთმანი,
გზი ვარ ეგების!)

მაშ რატომ არ მატებობს მე მისი სტუმრობა,
იმისი კამათი,
იმისი ხუმრობა?
მაშ რისთვის მგონია ზე ანარეკალი
ყველა ეს, და მხვდება
გულს, ვითა ეკალი?
არ ვიცი. ვიფიქრობ და ჯერაც ვერ მივმხდარება.
ამ გამოცანებით
მე კვლბა მდიდარ ვარ.

გუშმაჟი.

P. S. ერთ მათგანს, ვისხედაც აი ამ ლექსის ესწერ,
გუშინ წინ შემთხვევით
მე თვალი შევაწარ:
ციხისკენ მიჰყავდათ ფეხ ანაქარები
და მცველთან მივიქერ
გულ განამწარები.
ვიკითხე მიზეზი მე მისი ტყვეობის,
ვინც მუდამ ქადაგი
სხნდა ფაქიზ ზნეობის.
და მესმა პასუხი გულ გამჩანაგები:
— გაჰყიდა იუდამ
ქმა, ამხანაგები...

— კა.

ფ ა ლ ს ი ფ ი ს ა ც ი ს

წინ არ იცის, რომ მ. ლალიძის ქარხნის წყალ-
მა თითქმის ყველა წყლები ჩაჩრდილა და თფილი-
სის ბაზარზე გაბატონდა. პირველ ხანებში ეს წყლის
ლირსებით აისხებოდა, შემდეგ კი ინერციის კა-
ნონით.

და აი დაიწყო წაბაძულობა. მყიდველთა შეც-
დომაში შესაყვანათ ლალიძის მოქიშე ქარხნებმა
დაიწყეს ეტიკეტების*) მიმსგავსება. განსაკუთრებით

*) ბოთჯებზე მიკრულ ქადაღდას, რომელზედაც
ფირშის სასელ წლება, არის ადნიშნული „ეტიკეტი“
ეწადება.

მიუახლოვდა მას ვინმე. ლოლაძე. თუ ახლოს არ და-
კვირდით ვერაფრით ვერ გაარჩევთ ვისი ქარხნისაა
წყალი: ლალიძის, თუ ლოლაძის და მეც, პრინცი-
პიალური მომხრე ლალიძის წყლის, არა ერთხელ
შემიყავანა შეცდომაში.

მეითხველი იფიქრებს:

— ახირებული კაცია ეს მორიელი ქვეყანა
ინგრევა და ის ლალიძის წყალზე გვებასება-ო.

ეს საყვედური მართალი იქნებოდა, თუ ჩემს
წერილს მიზნად მხოლოდ „ხილეული წყალის“ ფალ-
სიფიკაცია დაესახა.

მე აზრათ მაქს გამოვარკებით თქვენს წინაშე,
არა „ხილეულიბის წყლისა“ არამედ წმინდა წყლის
ფალისიფიკაცია, რომელიც მოიმოქმედა „საუკეთესო
მოწინავეთა“ ქარხნის პატრონმა იოსებ იმედაშვილმა
და მისმა ნოქარმა ივანე გომართელმა. ლალიძის
წყლის ამბავი მხოლოდ ილიუსტრაცია.

მეითხველ საზოგადოებას უკვე მოქსენება,
რომ საქართველოში გამოდის პარტიული სოციალ-
დემოკრატიული გაზეთი „ერთობა“. დარწმუნებუ-
ლი ვარ მეითხველ საზოგადოებას ისიც მოქსენება,
რომ გაზეთი „ერთობა“ ყველა ქართულ გაზეთშე
უფრო გაზრდებულია საქართველოში.

და აი პრესის ფალისიფიკატორი იოსებ იმედა-
შვილი რიღას ფალისიფიკატორი იქნებოდა, თუ ამ
აშკარა, თვალსაჩინო საქმეს ვერ მიხვდებოდა. ის
არც იმდენათ სულელია, რომ კომერციის ანკეთი
საჭირო ადგილის არ ჩავდოს და თუ კი რისიძე-
დაჭრა შეიძლება არ დაიჭიროს. აქ კი დასაჭერია
ორიოდ გულუბრიიყვილო მეითხველი. აი ამ განზ-
რახვით იოსებ იმედაშვილმაც გამოსცა გაზეთი „ერ-
თობა“, მხოლოდ როგორც მოსალოდნელი იყო
მიაკერა მას სიტყვა „სახალხო“.

რისთვის დასჭირდა ბ-ნ იოსებ იმედაშვილსა და
მის ნოქარს ეს მეორე „ერთობა“, თუ კი ისინი
მართლაც და ერთობის მომხრენი არიან და თუ მათ
ამ სახელწოდებით ვისიმე შეცდომაში შეყანა არა
სურთ სასაცილოა მათი საქმე, სამწუხარო რომ არ
იყოს.

იოსებ იმედაშვილის პატივცემულ სახელს კა-
გა მოზრდილი შევი დაღი აზის ჯერ კიდევ პირვე-
ლი დუმის არჩევნებიდან. რამდენათაც მეითხველ
საზოგადოებას ახსოვს, ის არც ცდილა ამ დაღი ს
ჩამორჩებას. იმ შევბრნელი რეაქციის დროს, მიუხე-

დავათ მისი „საუკეთესო მოწინავების“, ბ-ნი იც-
დაშეილი ჩინებულათ იჯდა ორ სკომზე და ვერავ
თარი დაკვირვებული თვალი მასში სოციალ-დემო-
კრატის ნასახს ვერ აღმოაჩნდა. მაგრამ არიან ცხო-
ველები, რომელნიც პირობის შესაფერათ იცვლიან
ხოლმე ქერქს და ერთი ამგვართაგანი აღმოჩნდა
ისიც.

დაემზო რეაქცია და აი ი, იმედაშვილმაც
უცებ ქერქი იცვალა. ის უკვე სოციალ-დემოკრატია,
მაგრამ სოციალ დემოკრატ-ფალისფიკატორი.
მის გაზეთს აწერია:

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით
„ქართული სოციალ-დემოკრატიული პარ-
ტია..“

ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია
და მისი ხელმძღვანელი იოსებ იმედაშვილი!

განა წარმოგიდგენიათ, მკითხველნო, ამაზე
უფრო სასაცილო რამ ამ რევოლუციის დროს?!

„ქართული სოციალ-დემოკრატია“, და მისი
უკეთესი წევრი იოსებ იმედაშვილი!

განა წარმოგიდგენიათ ამაზე მეტი შეურაცხ-
ყოფა ქართველი ერისა? იოსებ იმედაშვილს რო
ჰეთხოთ, ის თავს დასცებს საქართველოსათვის.
მერე თუ ეს ასეა, რათ შეურაცხყოფს იგი ქართ-
ველ ხალხს ასე, თითქო ქართულ სოციალ დემო-
კრატიას უთუოდ ფალისფიკატორი და საეჭვო
პიროვნება უნდა ედგეს სათავეში?

— ეს მას სისულელით მოსდისო. მიპასუხებს
მეითხველი. ვეთანხმები, მაგრამ ამ ნოქარს იმედა-
შვილისას, პატივცემულ ექიმს და უურნალის
იგანე გომართელს, რომელიც ამ თერთმეტი წლის
განმავლობაში ხოლერიანსაჭირო ერიდებოდა სო-
ციალ-დემოკრატს, დღეს რამ ალუძრა მადა და
სიყვარული მათდამი? იგანე გომართელს ხომ სი-
სულელეს მტერიც ვერ დასწამებს მაშ ჩათ ჩავრ-
და ეს კაცი ასეთ სასაცილო მდგომარეობაში, რო-
გორ შიაც დღეს მას ვხედავთ? რათ დასჭირდა მას
იოსებ იმედაშვილის კუდათ ჩანჩალი და მოტყუე-
ბით თავისი აზრების/ხალხში ვრცელება?

ამის შესხებ შემდეგ ნომერზე.

მორიელი.

ჸატარა ფელეტონი

“ბუზი იყო თურქე მხოლოდ!”

ადრე რომ მდგვანი გვეგძნა,
თურმე ურთ ფეხზე მდგარან...
ვ. რუხაძე. (“ეშმაკის მათ.”)

Не поэтому ль короны
Такъ торжественно слетѣли?

(„Одес. Нов.“)

1.

— დედავ ჩემო! ხომ კი ხედავ
უკან-ყოფილ განსჯის დროსა!
დახე: მამის კუბის ფიტრით
მე ამიგეს. დევნის ჯავრი!!.
მუსევრის ქარ-ბუქს მიატანეს
წიმებული ერის დროშა,
აყრილ ძელებით ჩააქოლეს,
მიალექეს სისხლის ღვარი!..

2.

დედა მიხვდა შვილის წადილს,
მის საშინელ ბედისწერას...
და მუხლებზე მოკვეცა
შწარე სიტყვით განგშირული.
შვილი მართლაც მიდიოდა...
ის სტოვებდა მშობლის კერას,
და განწირულ ბრძოლის ჰიმნებს
მიჰყობოდა მოხიბლული.

3.

ბრძოლის ველი მეხსა სცემდა,
პეტა-გრგვინვის ხმით ტოკავდა;
ზღვის ბობოქარ ზეირთთა მთაზე
თრთოდა ცეცხლის ქარტეხილი.
რისხვით მთვრალი ბნელი ძალა
თაგა არ ხრიდა, არ ზოგავდა,
და ჯოჯოხეთს მოუხმობდა
ბრძოლის ენით ატეხილი...

4.

ჴა, დღეს ნელა ჰქერება აღი...
და სასტიკი წყდება ბრძოლა...
აგერ გმირიც, ვინც ბოროტი
მტერი დასცა საბოლოოდ!.
ზიზლით სავსე სცერეტს აწ იგი
თუ ვინ იყო რომ ჩაქოლა;
სცერეტს და უკვირს, მაგრამ რაღა...
ბუზი იყო თურმე მხოლოდ...
თარაში.

* * *

(ძლვნათ ლიტერატურის ზოგიერთ მსახურთ და
მოყვარულო)

გზაზე რომ შემხვდებოდა, გამილიმებდა, თვა-
ლები გაუბრწყინდებოდა. ერტყობოდა, —ჩემი დანახ-
ვა სასიამოთ ჰქონდა. მისმა ასეთმა თანაგრძნობამ
ჩემი გულის სიმებსაც ჩემოჰკრა, სატრფიალოთ მო-
მართა. ერთ საღამოს უკან წამომეწია, ჩამიარა და...
ცხვირ-სახოცი „გაუვარდა“. მსწრაფლ დაესწვდი,
ავიღე და მივაწოდე.

— გმაღლობთ, მითხრა მან და ორნავ წამო
წითლდა.

— ნუ სწუხდებით პირიქით, მე ვარ დიდ
მაღლობელი, რომ თქვენი ცხვირ-სახოცის შეხები
ლირისი გამხადეთ.

— სულაც არ მქონია სახეში!

— ალბათ ღვთის ნება იყო.

ასე გაფიცანით ერთმანეთი.

მალე კარგი მეგობრები შევიქწნით.

სახლში ვესტურე. მხიარულათ მიმილო. ხელში
„შერანის“ იმ ღლინდელი ნუმერი ეჭირა.

— ვერ წარმოიღენთ — რა სიამოებებით ვკით-
ხულობ თქვენს უკანასკნელ ლექსს!

— დამცინთ, ქალბატონი?

— ვანა არ ვიცი, რომ თქვენ პრეტი ხართ
ძალიან მაწყენიეთ, რომ ამდენხანს ერთი ლექსი ას
მიძღვნით. გულმოსული ვარ თქვენზე...
— პირველათ მესმის ჩემი პოეტობა!

23 მარტი ქ. პეტროგრადში.



დაკრძალვა რევოლუციის მსხვერპლთა. მოედანზე მოსჩანს პატარა ჯგუფი, მათ შორის თავმჯდომარე დამკრძალველ კომისიისა ისიდორე რამიშვილი და ცნობილი რევოლუციონერი ქალი ვერა ზასულიშვილი.

— ახ, კაკოი ვი სკრომნი!..... მე სარწმუნო წყაროებიდან გაგებული მაქეს, რომ „ნისლი“ ილიკო ჭიათურაძის ფსევდონიმია.

— ხა, ხა, ხა.. რათა გონიათ, რომ ეგ ფსევ-დონიმი ჩემია და არა სხვა ვინმესი? ილიკო ჭიათუ-რაძე ხომ სხვაც შეიძლება იყოს?

დიდი მტკიცების შემდეგ, როგორც იყო, და ვაჯერე, რომ მე პიეტობის არა მეცხო რა. ეწყინა.

იმ დღის შემდეგ ალმაცერათ დამიწყო უწრება. ზაზე რომ შემხედებოდა აღარ იღიმებოდა, აღარც ივალები უბრწყინდებოდა, სალამს მაძლევდა, მაგ-ნამ თავს ისე ზანტათ მიკრავდა, თითქოს დღიდ რა-ეს მთაგზობდა. ჩემთან პირის-პირ შეყრასა და ჰაპარაქს გაუზიადდა.

თანდათან მშორდებოდა. ვსწუხდი, ვშფოთავდი

ინსტიქტიურათ მოვავლე კალამს ხელი და ხან-წყაროებიდან გაგებული მაქეს, რომ „ნისლი“ გრძლივი ოფლის ღვრის შემდეგ დავსწერე ლექსი:

ჩემს სატრაიოს!

(ძღვნათ თამაზ მჩარაძის ასულს)

ლექსი რომ ვერ გიძლვენი, იმან გაგაგულისა,

ჩემო კარგო? ჭირიმე შენი წმინდა სულისა!

რომ მიყვარხარ, შენც იცი... აღარ უნდა მტკიცება;

მომაკლინებს, იცოდე, შენგან ვარის ტკიცება.

ბროლის მკერდს რომ დაჰყვება ძუძუებს შეა არე—

იგი მინდა რომ გახდეს
ჩემი ცხვირის სამარე.

გენაცვალე კისერში,
გენაცვალე ყველგანა...
არ მომისპო სიცოცხლე,
არ გამიყარო დანა!

ლექსი რომ ვერ გიძლვენი,
იმან გაგაულისა,
ჩემო კარგო? ჭირიმე
შენი წმინდა სულისა

გადავათეთრე, ჩავდე პაკეტში და გავუგზავნე.
მეორე დღეს შორიდან გამიღმა:

— უფსევდინიმოთ?!? მაგრამ არა უშავს... მე
თითონ მოვაწერე და გავვგზავნე.

— სად?

— რედაქტირა. არც ახლა გამოტყდებით?
მუხლები კინაღამ მომოქეცა.

იმ დღეს აღარაფერი მიჟავია. სიღამოს სიცხე
მომცა; მთელი ლამე ბურანში გავატარე. ყურანში ჩა-
მეშოდა რედაქტირაში მომუშავეთა სიცილ ხარხარი,
ჩემი ნაცოდვილევის წაკითხვით გამოწვეული. ხან-
დიხან რომ დამეძინებოდა, მაშინვე რედაქტირაში
დავიბადებოდი... აი—ქარარა რედაქტორი გულ-
მოდგინეთ დასკერის ჩემს ლექსს და ბუტბუტებს:
„სწორეთ არ ღვიჯერებდი, სახელი და გვარი
რომ არ ეწეროს. „ნისლმა“ ასეთი სისულელე რო-
გორ განიგზავნა!!“

— ჩემი აზრით, ამბობს ერთი მომუშავეთანი,
ეს ლექსი მგონის შესარცხვენათ არის ვიღაც გა-
რეწარის მიერ შეთითხვილი.

— შეიძლება „ნისლისაც“ იყოს, შენიშვნას მე-
ორე, მარცხი ვის არ მოუვა?

— ვისიც უნდა იყოს, გაშვება შეუძლებელია,
ჩემთვის ნაწარმოების ღირსებას აქვს მნიშვნელობა
და არა მის აფრინს, დარბაისლურათ სწყვეტს კით-
ხვის რედაქტორი და ჩემს ლექსს სარედაქტო კა-
ლათში აგდებს.

შემსუბუქება არც მეორე დღეს მიგრძენია, ხო-
ლო მესამე დღეს,— არ გავეცინოს მითხველო, —
ჩემს ნაწარმოებს მთელი საჭართველო ჰქითხულობ-
და, და მე რაღა დამაღლებდა!

იმავე ნუმერში მოთავსებული იყო ახალგაზდა კრი-
ტიკოსის სიკო შტერაძის კრიტიკული ესკიზი: „ეფო-
ლიუცია მგოსან „ნისლის“ შემოქმედებაში.“ სრა-
ტიას დართული ჰქონდა სახელდახელო „პოსტ-
სკრიპტუმი“-ი:

„როგორც დავინახეთ, მიუხედავათ ღრმა ეფო-
ლიუციას „ნისლის“ ბოლონდელ ლექსებსაც
აქვთ ცოტაოდენი ნაკლი. ეს არ ითქმის დღე-
ვანდელ ნუმერში მოთავსებულ ლექსები. ეს
ნაწარმოები („ჩემს სატრაფოს“) ყოველი მხრით
უნაკლოა. აქ მთელი თავისი სიძლიერით შლის
ფრთხებს ნიკიერი მგონის ლალი შემოქმედება.
განსაკუთრებით ყურადღების ღირსია შესამე და
მოთხე ტაეპი. მზავს მარგალიტს ჩეკ ლიტ-
რატურაში სანთლით ვერ იპოვნით. ვრცლა
სსენებულ ლექსს ცალკე სტატიაში გავარჩევთ.“

ამის წაკითხვის შემდეგ ბრძანც კი დარწმუნდებო-
და, რომ მე დიდი პოეტური ნიჭით ვიყავი დაჯილ-
დობებული. თვალ-წინ გადამეშალა ია და ვარგებით
მოთვენილი ბრწყინვალე მომავალი. „ლერთო ჩემო,
ვამბობდი გულში, ხას ვთიქრობდი და რა მოხდა
მარგალიტი ყოფილა, მე კი... მართალი უთქვამო,—
დიდი პოეტი ცული კრიტიკოსია. თამარ!.. აწ ჩე-
თავს შენ იღარავინ დაგანებებს. ვერც მე დავდგმა
ერთისა და ორის მედოული, ვინაიდან გრთვერუ-
ნება პოეტურ შემოქმედებას ჰკლავს... „მიგულვ
აწ შენდა დაყარგულისათ“. მართალია ჩემსა და
ქართულ ლიტერატურის წინაშე დიდი სამსახურ
მიიღილვის, მაგრამ პატარა ჯილდო არც ის არის.
რომ ჩემს ბიოგრაფიაში საპატიო ადგილი დაგე-
მობა“.

ჩემს უსაზღვრო სიხარულს მხოლოდ ის გარ-
მოება ძყენებდა პატარა ჩრდილს, რომ ჩემი ა-
ზულება სხვისი სახელით იყო დასტამბული. საჭრი
იყო საქმის გამოსწორება. მეტი გზა არ იყო: უნდ
მიესულიყავ რედაქტორთან და ყველაფერი გულ-
ახდილათ მეთქვა. მისი საშუალებით კრიტიკოსა
ვნახავდი და... — „ნისლი“? იმის რაღა პასუხს ა-
ლევ? გამიერვა ამ ღრის თავში.

„ნისლის“ წინაშე ჩემი დანაშაული მართლა
დიდი იყო. „ბოდიშს მოვიხდი, პატივიბას ესთხოვ-
გავივლე გულში, და ეს ისეთ უძეარ საშვალება
შეჩევნა, რომ სიხარულისაგან მაღლა შევხტი.“

საღამოს ექვსი საათი იქნებოდა, რედაქტოის კარები რომ შევაღე. ერთი ახალგაზრდა ძალზე ცხარობდა. აღელვება ისე დიდი იყო რომ ჩემთვის ყურადღება არავის მოუქცევია.

— რა ვუყოთ, რომ ჩემი გვეონათ? — ეუბნებოდა ხანში შესულ კაცს ახალგაზრდა, — ვისიც უნდა იყოს, ერთი ფასი აქვს! ჩემიც რომ ყოფილიყო, არ უნდა გაგეშვათ!

ამ დროს თაბაში ერთი წვერ-ულვაშ გაპარსული ყმაწვილი შემოვიდა.

— შენც; შენც რაღა ღმერთი გაგიწყრა? — მივარდა მას ახალგაზრდა.

— რაშია საქმე?

— იცი რა მიყავ?

შემდეგი ლაპარაკიდან ნათლათ გამოირკვა, რომ საქმე ჩემს ლექსს შეეხებოდა. პოეტი ამტკიცებდა, რომ ის ყოვლათ უვარების ლექსი ბნელი მიზნით იყო გამოგზავნილი რედაქტორის. ვიღაცას კიდეც ასახელებდა:

— ის მიზამდა მაგას და უთუოდ უნდა მოვკრია.

წვერ-ულვაშ გაპარსულ ყმაწვილს დაღრეჯილობა დაეტყო.

— რათ გაუშვი, კაცო! — უსაყველურა მან რედაქტორს.

— რა ვიცოდი თუ ასე იყო საქმე?

— რომ არ ვარგოდა, ხომ დაინახე!

— თუ კაი დამნახავი ხარ, შენ თვითონ ჭრათ არ დაინახე! — შეუტია რედაქტორმა, — მართალს თუ

მათ ქმედინებ, სულ შენ გააფუჭე საქმე იმ ოხერი „ბოსტ-სკრიპტუმით“. კრიტიკოსი ხარ რაღა!

— უაცრავათ! მე შენს რედაქტორობას ვენ-დე. როგორ წარმოვიდგენდი, ისეთ სისულელეს თუ დასაბეჭდით დაამზადებდი! მანამდის რომ მენახა, შესაფერ მსჯავრსაც დავდებდი და არც გაგაშვებინებდი!

— მოითმინეთ, ბატონებო, რა დროს ჩეუბია? — ჩერია ლაპარაკში პოეტი, — წამხდარი საქმე როგორმე უნდა გამოვაქეთოთ და არა...

ვეღარ დავდექი, გამოვიპარე.


შესამე დღის ნუმერში გაზეთის თვალსაჩინო ადგილზე მსხვილი ასოებით ეწერა: „შეცდომის გაცორება: ჩენი გაზეთის გუშინწინდელ ნუმერში მოთავსებულ ლექსს „ჩემს სატრფოს“ შეცდომით მოწერილი აქვს „ნისლი“, უნდა იყოს: „ისლი“.

იმავ ნუმერში ბ. შტერიძის წერილი თავდება შემდეგი სიტყვებით: „ეს არ ითქმის დღეეანდელ ნუმერში მოთავსებულ ლექსზე. ეს ნაწარმოები („ჩემს სატრფოს“) ყოველი მხრით უნაკლოა“ და სხვ. უნდა იყოს: ეს არ ითქმის ხუთშაბათის ნუმერში მოთავსებულ ლექსზე. ეს ნაწარმოები („ჩემი სატრფო“) ყოველი მხრით უნაკლოა და სხვ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ. „ისლის“ ლექსი ბრა შემთხვევით გაგვეპარა, რისთვისაც დიდ ბოლიშს ვიხდით, როგორც „ნისლის“, ისე მეთხველ საზოგადოების წინაშე“.

წავიტოხე და... გამეცინა, მწარეთ გამეცინა.

d.




დ ვ ი ლ უ ა ბ



წამების ბოძზედა განაკრავს
სტანჯავდენ ბნელეთის ქაჯები

ქ ე ბ ლ ი რ უ ს ე მ თ ი



დიდების კვარცლბეჭეზე მდგომარეს
ჟღვანან გვერდთ პირმშო ვაუები.

ქ ე რ ე დ ე

ვაცხადებ ეხლავე,
რომ დღეს ეს შარადა
არ მინდა საქენად,
სხვათ გასამწარადა...
პირიქით, მოეძებნოთ
ფუქიზი სიტყვები
და ამო სასმენლად
ავკინძოთ რითმები!..

რა ხმაურს იძლევა
პატარა მღინარე,
მთით დანაქანგბი
ქვით ქვაზე მღინარე?
სიტყვა ეს ლამაზი
შვიდს ანბანს შეიცავს;
ჩვენ ორი გვეირია,
რაც უზის სიტყვის თავს.

ერმა სული, გული
მითი აიყვავოს;
რა დაჲქარგოს იგი—
თვითაც აღიგავოს!..
სამი ასო არის
მისი საძირკველი,
(წინა ორი გვინდა,
სხვას მიუშოთ ხელი).

ჩინურსა აქებენ
ამ დასაყრდნობელსა;
შორე გადაჭიმულს
მაღალსა და სქელსა.
სამი მარცვლისაგან
შესდგება სახელი,
შვათა არ გვეირია,
ორის ვართ მნახველი.

დასრულდა შარადა
(იქნება სხარტულად
ვერ შევძელ აწერა
და დარჩა ის რთულად!)

ეცადეთ, ახსენით,
სიფრთხილით ნაშენი,
ის ჩეენი მოძმეა...
თან მათი მაშენი.

უჩინარი.

მოქალაქენო!

(ჩემი მოწოდება)

ქრისტე აღდგა! გიხაროდეთ,
აღსდგა ჩეენი მაცხოვარი
და კვლავ რომ არ დაამარდეს
აი, რა მაქვს სათხოვარი:

„უკუ ვაგდოთ კინ კლაობა,
რომ საერთოთ გველის შიში,
და ჯერ ახალ საქმის მტრებთან
გავისწოროთ ანგარიში.

ჩენი გზები ჯერჯერობით
საქმიოთ არს არეული,
მტრები ერთობ ბლომათ გვყანან
შინ მჯდომი, თუ გარეული;
გავანშიროთ ლოზუნგები
საღებესო (ტაკტიკური),
ფეხზლით შეეხდეთ განახლებული
(ასი თვალი, ასი ყური).

პირველ ყოვლის საქმეს ხელი
და ვინც ვნახოთ უსაქმური,
გავიყვანოთ მოედანზე,
რომ სირცხვილის სცენ აღმური.
პური მშრომელს აღარ ყოფნის
რათ ვაჩინოთ მუქთა-ხორა?!.
(იგიც კმარა უშრომელათ
რაც რომ დღემდის ჩაიყრა).

შევამოკლოთ მეტი ხარჯი--
განცხრომა და ფუფუნება,

ამ ხანაში დროს ტარება
ბურჯუებსაც ემტყუნება.

ახლოს არვინ მივიკაროთ —
დაშაქრული, ტკბილეული,
ერთი ათათ რომ გაძირდა
ეს დამპალი ხილეული!

განა იგი რომ არ ვჭიროთ
ისე თავს ვერ შევინახავთ?
(რომ არავინ არ ვიყიდოთ
ჩას იზამენ მაშინ ენახავთ).

ქრისტე აღსდგა, მეგობრებო,
აღსდგა ჩვენი მაცხოვარი,
მაგრამ ფეხზე რომ გამაჯრდეს
ისმინეთ ეს სათხოვარი.

ყოველივე ჩვენი შრომა
ფუჭათ რომ არ დაიხარჯოს,
ძირს ქიშპობა (კინკლაობა!),
მაშ ერთობას გაუმარჯოს...

მათრახოსანი.

საალდგომო მიღლოცვები.

დედავ, დედავ, დედავ, დედავ,
რა მომესწრო და რას ვხედავ...
კილფონა და ქაიხოსრო,
აღაძ გიკვირს რა მოგვესწრო:
რუსეთი რო გადაბრუნდა...
რაცხა თავში აფათქუნდა.
სიხარულით ავქანჯალდი,
შორს ვისროლე თოხი, წალდი;
მინდა ცეკვა, ბუქნა, ხტომა,
და ბრწყინვალე ეს აღდგომა
ყველას უნდა მივულოცო...
მაცა, აფლი მოვიხოცო.

დროებით მთავრობას.

იყავ მართლა დროებითი,
მოიწვიე მალე კრება,

დამფუძნებელს რო ეტყვიან,
სულყველას რო ენატრება.
იყავ მხნე და, ნუ გაქვთ შიში,
გაუწიე ანგარიში
დემოკრატებს, მშრომელ ხალხსა,
ქალო, დღეს ნუ მაცმევ თალხსა.

სახელმწიფო დუმიას.

ლალე, ლალე, თარითურალალე,
გასაკვირი ჩამე ხარ
და დროს მოჩანჩალე,
უწინ ძველის, ეხლა ახლის
გამხდარხარ მოწყალე.

კარლო ჩხეიძეს.

მებრძოლი ეარ, ხალხის შვილი.
შენებრ სხვამ ვინ დაიკვეხოს,
იყავი მხნეთ, შეუპოვრათ,
მწუხარებამ არ გაგტეხოს.

აკაკი ჩხენკველს.

მხნე მებრძოლი, რისხვა მტერთა
ბედმა მასში შეაერთა.
გაუწიე ძმას უღელი,
კვლავ იცოცხლე ბევრი წელი.

ნოე ჟორდანიას.

მრავალ წლოვან, დიდი მუხა,
ბევრჯერ რისხვაც დაექუხა,
მაგრამ იგი, მედგრათ მდგარი,
ოდავაც ვერ შეაწუხა.
ცა უწვიმებს ხშირად მეხსა,
მაგრამ ერთს ტოტს მონატეხსა —
ვერ უნახას ვერსად თვალი;
მისთვის რაა ქარიშხალი!
თვალ საჩინოდ ველზე მდგომო,
რა მოგიძლენა საალდგომო,
იყავ მედგრათ, შეუპოვრათ,
ჩას დაგალებს ვაეკაცს მტერი?
ვაი ბედშავს, წყალწაღბულს,
თუ შენ რისხვით შემოსწყერი,

მუშათა საბჭოს.

„ქრისტე აღსდგი!“ გამარჯობა!
როგორ გშევნის, ძმობამ, ბჟობა,
ახლა ყველამ შეგიყვარა,
რადგანაც ძველს გაეყარა.
სხვა რაღა ვსოდევა, ესეც კმარა.

ჯ ა რ ს.

ჯარსა სწროვნიდენ, ისწავლიდენ—
ვინ არს შინაური მტერი,
მაგრამ იცნა მან ვინც იყო,
აადინა ზურგზე მტვერი,
ერთობის რო დადგა ლხინი,
დაირაზმა „ნიუნი ჩინი“,
ძველ „მოყვარეს“ უქნა განი,
უძლვნა ციხე და საკანი.
დაირაზმეთ, ძმურათ, მწყობრათ,
მოვსპოთ მტერი შინაგანი,
მხნეთ ეკვეთეთ გარეულ მტრებს,
აღარ მისცეთ გასაქანი.

მ უ შ ე ბ ს.

მუშებო! დროშა აღმართეთ,
ვაშა, რაც რომ მტრებს დამართეთ,
კვლავ გასალეთ დროშა ფართეთ.
აწ უფრო აგუგუნდებით,
აწ დაჯაჭვეული არ ივლით
საზიზდარ ბორკილ-ხუნდებით,
მჯერა მოკვდებით, და ძველ დროს
აწ ალარ დაუბრუნდებით;
მაშ ქრისტე აღსდგა! გილოცავ,
ყველას დაგკაცნი ძმურადა.
ხანდახან შევქანჯალდები,
თქვენც მიმიხვდებით თუ რადა!

ევგენი გვეგენის.

ენა მჭრელი, საქმე წრფელი,
დინჯი ხარ და მხნე, გამრჯელი,
მაშ, განაგრძე შენებურად,
წინ წაგვიძეს ვაჟკაცურად.

„სოციალ-დემოკრატს“.

გაგვიზაფხულდა, დადგა მარტია,
მოკვდა ას ორი მეაცრი სტატია,
„სოციალ-დემოკრატს“ არა აქვს შიში,
და მტრებზე მიაქვს მას მძლე იერიში.

ფედერალისტებს.

ქარის წისქვილებს რათ დაეჭიდეთ,
რატომ ვერ ხედება ამას გრიგოლი,
რომ ძველ დროებას დაემტერა რგოლი,
თუთუნს ჩიბუხით ვსწევ, ასდის ბოლი.

სპირიდონისტებს.

ქალო, მომე ღორის ქონი,
გუდები მაქვს გასაქონი,
როგორც ვხედავთ აწი მგონი,
ვერ წაგილოთ სპირიდონი,
სად ვიშოვნოთ ჩვენ ვაგონი,
ვსტირით ჯავრით დანაღონი.

ეშმაკს.

ჯოჯოხეთის გამგებელო,
რქებზე კოცნით შეგეხები,
იყავ შედგრათ! შავ ძალთათვის
დამზადე მათრახები.

შექანჯალებული.



ტერილი ეშმაკისაღები

(გურული სცენა).

ძამიავ, წყეულო და უხილავო ეშმაკო! თურმე კაცის რაც არ გაქვს, იმას უფრო აფასებ... რაცხა ქე შეგონა ჩემი თავი, თუ რამე გულში გამითაჩუნდებოდა, იმას ქე დავჯლაბნილი ქალალზე, მარა კაცის დახატვა აქამდე არ მომსვლია გოგრაში. ახლა ქე დამჭირდა, მარა ვერ მოგართვი, ვერაზ შევიძლი... დალახვროს ღმერთმა შენი სახელი, რაფერი ჩაფათრეთება იცი კაცების, რო დოუგუდებ აღაპის ჩაგასავით ცხვირს, რო დოუგელებ ნიკაპს ნიჩაბსავით და ზედ წვერს ბალანჟეთ დოუტევ, კბილებს დოუგვანგალებ და ფეხებს გოუფარჩხნი, უჟ, შენ კი გენაცვალე ყანკურატოში, მაგას რამე რავა ჯობია. ასე, სიტყვით ქე ვიტყვი, მარა, საქმით, ნურას, ვერ მოგართვი ჭიქვი ფხალი. რამდენჯერ მევინდომე ამ ბოლო ხნის ვინმე-ვინმე ჩამეფათრეთებია, მარა ვერ მოგართვი,—რამდენჯერ ვინატრე, ერთი ოსკარ შტრინგათ მაქცია მეოქი, რაც უნდა ჩამოვკაკლო სიტყვით, ფათრეთი მაინც სხვაა, ხოლ და ერთ რამეს გეხევეწები შენ და ოსკარ შტრინგს და ამისრულებთ ამ თხოვნას,—ამას კი შეიძლებთ, თუ კი ხათრს მიზამთ, შუუქლებელი აფერი არ არის, თუ კი ფუტურისტება მზის დაორსულება შეიძლეს, მაგი რა დიდი საქმეა. ხოლ და საქმე ასეა:

შე მინდა ბათუმის ლაქის უჩიტელების კრება ჩამიფართხეთო. კრება სამ დღეს გაერქელდა, მარა ფათრეთი ერთნეირი გამუა. აბა მიყურე, მე დაგიკალავ, სიტყვიერათ ცველას დაგისურათებ და მერე შენ დაფათრეთე... უჩიტელები უნდა დაბრა-დან ან ბიჭების, ან და ციცების ლემლაზის ზალაში, აგნი თრივე ქე გინახავს შენ... ქალები მარცხნით დააბრაძნე, კაცები უფრო მარჯვნით... წინ სიპატიური პრეტსელატელი დააენინე, იგი ლომბიერია ყოველ მხრივ, თუ დეისატება მომრიგებელ პრეტსელატელათ დახატე, რომელიც თრივე მოწინააღმდეგე მოკამათეს უზმობს... და საზოგადოთ „წესიერებას“ იცავს წესი კრებაში. ქალებს, მანდულოსან უჩიტელებს არც ერთს პირი არ გოუკეთო, ზედმეტი ცენება, რადგანაც არ ხარისხდენ, იქნება არ დაშვენდეთ, მარა რას იზამ ბიძია კაცების დიდ

უმრავლესობასაც არ უნდა პირი, და ამისთვის არც ულვაშები იქნება მგონი საჭირო, ისე, შავი ბალანით გოუსწორე ცხვირს ქვევით ცველაფერი. ბ-ნი სახალხო ინსპეკტორი ცველას უკან დამიბრაძნე, ეს თავდაბლობით მოსდიოდა. თუ ქვეშ წარწერა—ლოტეგის ამ ნაირს გაუკეთებ კარგია: „უკანანი წინ!“ რადგანაც ის თუმცა უკან იჯდა, მარა, არჩევნებში უჩიტელების წყალობით წინ იყო... უჩიტელების დიდი უმრავლესობა კენჭის ყრის დროს ასე გამოხატე, —მაგლითად სხვა კატიტატებთან ერთად ისპეხტორსაც ასახელებენ... მაშინ თითქმის ცველის ააწევი ხელი კენჭის ყრის დროს... სახე ბეგრს ინსპეკტორისკენ მუუბრუნე, შეახედე მესკენ მასზე ხელიწელებს გააღიმებით კოპლიმეტურათ...

არჩევნების დროს, თუ შეგიძლია დახატო, ნაცნობობა და მეგობრობის ხათრი გამოხატე ხმის მიმცემ უჩიტელებში. ერთი ახალგაზრდა, პატარე უჩიტელი ხშირად ორქოლურად, პეტროვის დამცველად ლაპარაკებული დამიხატე, ბ-ნი არსენ წითოლიძე შეავათ დახატე, რადგანაც იგი იმ ღმიეს უმოწყალოთ გააშავეს, და ორი უჩიტელი კი თეთრად, თუმცა რო შეხედო, არც ისე თეთრი არიან. საზოგადოთ უჩიტელების მოქმედებაში და სახეში სიფრთხილე, შიში, და გაუბედაობა გამოხატე კითხვების გარჩევაში... ამის გარდა კიდევ დახატე ქუთაისის ცოცხალი, მომქმედი მასწავლებელთა კვშირი, და მასზე მოწყვეტილი ბათუმის ლოქის მასწავლებელთა წენარი, ჩუმი კვშირი, რომელიც ამა თუ იმ კითხვების გარჩევაზე არ იტკივებს თავს... ასეა, საქმე, ქე გითხარი ყოლიერი, და აწი თუ ჩიმიფათრეთებ, შენი იცი აბა, მაგიორს კი გასიამუნებ... ჩვანდლუპუ.



მ ე ს ტ ვ ი რ უ ლ ი.

ლიტანიაზე*).

ხელში აფილე ქაბანჩა,
(დაჩვეული ვარ კერასა),
ლიტანიაზე გეახელ
მოვყევ პირჯვრისა წერასა.
ეწყო პასკა და კვერცხები,
რა სჯობდა იმის ცერასა?!
თვალი სულ იქით ეპირა
იმ შსუნაგ ცამეტ-წვერასა.
რა შევამჩნიე, მაშინვე
შევუდექ გულის ბერასა,
ვსოდე: თუ ეძერა ამაბეს,
ვიწყებ ჩემებურ მღერასა...
„ქრისტე აღსდგაო“ — წარმოსთქვა,
ემზავსა მშიერ ძერასა...
ჯაბიდან დანა იშელიპა,
შეუდგა პასკის სერასა.
კვერცხებსაც უწყო გაყოფა,
ოთხიდან ორი მისია;
პასკასაც ბოჭავს მოზრდილებს,
(წვრილი რა საკადრისია!)
მდიდარს და ღარიბს არ აჩეეს,
არც კითხულობს ვისია;
რა ენაღვლება, თუ პატრიონს
ემჩინეთ დანაკლისია.
სულ ეს ნაღდათ ვაჭრობდა,
არ ჰყავიაბია ნისია,
უფლის ბრძანებას არ უხვევს,
(ნამდვილი სინიდისია!
მეც ამისათვის გავხადე
მათრახის კუდის ღირსია.)
თან დიაკვანიც მოსდევდა
მოძღვარსა კუდის კუდზედა,
„ქრისტე აღსდგაო“, გალობდა
„მეცდრეთოთო“, ყოველ წუთზედა.
რა შეატყობდა მონაბოჭს

უმძიმესია ფუთზედა,
ეკლესიაში შეჰქონდა,
წყობით აწყობდა ყუთზედა.
— მე ცალკე მომეც, რადგანაც
მას მღვდელი ჰყოფსო ხუთზედა,
თუ ვინმე შეეცილება,
საქმეს მისცემენ სულზედა.
ასეთის ფანდოთ ცბიერი
სიხარბით ხალხს ატყუებდა,
ზოგსა სტაცებდა ძალითა,
ზოგსაც ხევწნითა სტყუებდა.
ყველას ბოჭავდა მღვდელივით,
ისრე არავის სტუებდა...
ნეტავ საღ მყვანდა ეშმაკი
მათრახს არ მოაწუებდა...
შიგნით დიაკვანს ხმა-მაღლა
ეჩხეტებოდა მოძღვარი:
შენ შენი ხველრი ხომ მოგცეს,
რათა ხარ გაუმაძლარი...
კვალად ვსოდე აი, ნეტავი
ჩემი ეშმაკი საღ არი,
ამათ მათრახი უცხუნოს,
მით დაამშეიდოს საყდარი.
ან. განჯის-კარელი.

«ვინც აა ღმოშია მოიგო გევრი!»

ალვის ხესავით იყუდებული,
და გოგრა ფუყვ, როგორაც ქვევრი,
მისჩერებია „დროგზე“ ფქვილებსა
და უკვირს; ნეტავ ვისია ესა?!.
ჰედავს სადღაცა მიაქვთ შაქარი,
უკვირს; პატრიონი ვინ, ან საღ არი?
— „ვინც ამ ომშია მოიგო ბევრი!“

ალვის ხესავით იყუდებული
და გოგრა ფუყვ როგორაც ქვევრი,
ჰედავს უთვალავ ქვრივებს და ობლებს...
ჰედავს ნაღლისაგან ჩამომდნარ მშობლებს...
ჰედავს უხელოს, უსინათლოსა
და ჰევირობს, მათი ცოდვა ვინ ზღოსა?!

— ვინც ამ ომშია მოიგო ბევრი!“

ჩხილო.

*) ეს ლექსი შარქშნ აღდგომას უნდა დაბეჭდილიყო,
თუ ჩემი ცენტრით შარქშნ მშდროს ცოტხლი არ უა
ფილიყო.

ყოველ-კვირეული იუმორისტიული გამოცემა

ეშმაკი

მიღება სელისმოწერა 1917 წლისათვის

ეურნალის ფასი: 12 თვით 7 გ. — ეშმაკის მათრახში დაიბეჭდება მ ხ ლ თ დ იუმორის-
6 თვით 4 გ. — კ. წლილი შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხოვები,
3 თვით 2 გ. — კ. ზღაპრები, არაქები, შარადები, გამოცანები,
1 თვით — 70 კ. ნაკვესებიდა სხვა.

შურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განავითავ ე ფ ე ა ბ ი,

ხოლო გამოცემის საქმეს კანონია „გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა“

რედაქცია სთხოვს როგორც თანამშრომლებს, ისე ხელის მომწერლებს რომ მასალები და
ფული ამ აღრესზე: გამოიგზავნონ თიფლის, С. Р. Тавартиладзе, Ольгинская, 6
 поч. ящ. № 96.

ე რ თ მ გ ს


მიღება სელის მოწერა 1917 წლისათვის

გაზეთი ღიას როგორც თვილისები, ისე პროცესიაზი გთხლი ულით 15 განეთი, ნახევარი ულით 8 გ.
სამი თვით 4 გან. 20 გან., ერთი თვით 1 გან. 40 გან.

განეთის ფასი სელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაისადონ, ნისათ არავის გადაწინება.
ფოსტით სელის მომწერლებმა ფული შემდეგი აღრესით უნდა გამოგზავნონ: თიფლის, почетовый
ящикъ № 199, Власио Малакевичу Богохадзе.

თვილისის სელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაზი“ ოლდას ქუჩა № 6.

ყანსის ცყალსაზენი



ზამოდებული. რას უცდით მოქალაქენი აქ?
ა მოქალაქე. მარიამობისთვიდან ველოდებით წყაროს უკვდაფებისას, მაჭრამ
დღემდე ამაოდ.